

განმარტებითი ბარათი

„სასოფლო-სამეურნეო კარანტინის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ვინაიდან საქართველოს საბაჟო კოდექსის პროექტი ადგენს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური მიერ ფიტოსანიტარიული, ვეტერინარული და სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლი განხორციელება უცხოური საქონლი მიმართ საბაჟო კონტროლის ყველა ზონაში და არა მარტო საბაჟო გამშვები პუნქტის ტერიტორიაზე, აუცილებელი ხდება „სასოფლო-სამეურნეო კარანტინის შესახებ“ საქართველოს კანონში არსებული იგივე ნორმის ზემოაღნიშნულის მსგავსად ჩამოყალიბება.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

საქართველოს საბაჟო კოდექსის პროექტთან ამ კანონის შესაბამისობაში მოყვანა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

მე-8 მუხლის პირველი პუნქტის ცვლილება ადგენს, რომ საბაჟო პროცედურების განხორციელებისას უცხოური საქონლის გაშვებამდე საბაჟო კონტროლის ზონაში სახელმწიფო ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო ღონისძიებების კონტროლს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განსაზღვრული პოლიტიკის საფუძველზე ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახური.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ გამოიწვევს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიშობა სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს ზეგავლენას ფინანსურ შედეგებზე.

ბ.ე) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი მოსაკრებლის გაუქმებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში

საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო

ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ

ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და

მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო

ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა

მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობდნენ საქართველოს ფინანსთა

სამინისტროს სისტემის თანამშრომლები.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის

(დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ,

ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.